№ 195 სექტემბერი 18, კვირა 1888 სექტემბერი 18, კვირა № 195


**გაზეთი ღირს**

| თუმი | მან. | კ. | თუმი | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორგ. შაური.

1877—1888 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1888


ვუწყებთ ნათესავებს, მეგობრებს, ნაცნობებსა და თანამოსამსახურეთ, რომ კვირას, 18-ს სექტემბერს, დილის 10-ს საათზე, დანიშნულია გამოსვენება მიცვალებულის დოქტორის მედიცინისა კონსტანტინე სიმონის ძის ბახუტოვისა ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიაში, ხოლო დასაფლავება ალექსანდროვის სასაფლაოზე. პანაშვიდი იქნება ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, ველიამინოვის ქუჩა, № 4. (3—3)

გაბრიელ იოსების ძე ღვინიაშვილი, შემდეგ მმიმე ავადმყოფობისა, გარდაიცვალა ტფილისში ამ ენკენისთვის 16-ს. ამას მეუღლე განსვენებულისა, ბარბარე იოსების ასული, გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავებსა, მეგობრებსა და ნაცნობებს. გვამს გაასვენებენ ახალ არსენალის ქუჩიდამ, № 23, ამ ენკენისთვის 18-ს, კვირას, დილის 10 საათზე, კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში. (2—2)

ტფილისის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლი სთხოვს თავად-აზნაურობას ტფილისის მაზრისას, რომ მობძანდნენ კვირას, 18-ს ამ სექტემბრისას, დილის ცხრა საათზე, მაზრის თავად-აზნაურობის საგანგებო კრებაზე დეპუტატების ამოსარჩევად. კრება დანიშნულია ტფილისის აზნაურთ დეპუტატების კრებულის სადგურში, პუშკინის ქუჩაზე, მართლ-მადიდებელთა სემინარიის მახლობლად

ტფილისი, 17 სექტემბერი

თვითოეულს ერსა ჰყავს ღირს-შესანიშნავი შვილები, რომლებსაც დიდი სამსახური და ღვაწლი გაუწევიათ სამშობლო ქვეყნისათვის და იმათს სახელს ყოველი თვით-ცნობიერი ერი დიდის პატივით იხსენიებს ხოლმე და დიაღაც მოვალეა ასე მოიქცეს, რადგანაც კაცობრიობას დიდ-ბუნებოვან კაცთა შრომა და ღვაწლი ასულდგმულებს. ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ ყოველი ხალხი, რა განათლებისაც უნდა იყოს, დრო-გამოშვებით მოიგონებს ხოლმე საუკეთესო მამულიშვილთა ღვაწლსა და საჯაროდ გადაიხდის ხოლმე იმათს დღეობას. ამ დღეებში სერბიას შემთხვევა ჰქონდა და გადაიხადა ეროვნული დღეობა თავისის გამოჩენილის მწერლისა და მეცნიერისა ვუკ კარაჯიჩისა, იმ კაცისა, რომელმაც შეისწავლა და შეჰქმნა სამწერლო ენა სერბიისა, გამოიძია თავისის ერის ზნე-ჩვეულება, შეკრიბა და საშვილიშვილოდ დაიცვა სერბიელთა სახალხო სიტყვიერება. სერბიელთა საზოგადო აზრი ის არის, რომ კარაჯიჩმა მძლავრის ხელით წინ წასწია სერბიაში სწავლა-განათლება და მწერლობა. აი, ამ კაცის დღეობა იდღესასწაულა ამ დღეებში მთელმა სერბიამ, იმ კაცისა, რომელიც დევნილი და სამშობლოდგან გადახვეწილი იყო და რომელმაც უცხოეთში სული დალია. დღეს-კი ამ კაცის სახელი მთელმა სერბიამ საერთო თანაგრძნობითა და სიყვარულით მოიხსენია, და ეს იმისი საბუთია, რომ კარაჯიჩის საქმემ ნაყოფი გამოისხა და ოდესმე ჩაგრული ერი დღეს თავისს თავს ერადა ჰგრძნობს.

ამ რამდენისამე წლის განმავლობაში დიდ-ძალი უბედური შემთხვევა მომხდარა გერმანიისა და საფრანგეთის საზღვარზე და თითოეულს ამ გვარს შემთხვევას დიდი უსიამოვნება და უკმაყოფილება გამოუწვევია გერმანიასა და საფრანგეთს შორის. ზოგიერთნი გერმანიის მოხელენი დაუჭერიათ და კიდეც მოუკლავთ საზღვარზე, გერმანიის მთავრობას დაუტუსაღებია საფრანგეთის ქვეშევრდომნი და ამათთვის შეურაცხყოფა მიუყენებია; თავ-თავის დროზე ამ შემთხვევათა მეტად უსიამოვნო ლაპარაკი გამოუწვევიათ დიპლომატიასა და მწერლობაში და კიდევ უფრო გაუძნელებიათ უამისოდაც მტრული განწყობილება გერმანიასა და საფრანგეთს შუა. ამას წინად ჩვენ ვუამბეთ მკითხველებს, თუ რა უსიამოვნო და უმართებულო ლაპარაკი დაიწყო გერმანიის ოფიციოზურმა მწერლობამ იმისს თაობაზე, რომ ერთმა სულით ავადმყოფმა და ჭკუაზე შეშლილმა ფრანგმა დამბაჩა ესროლა ერთს გერმანელს მოხელეს გერმანიის საელჩოში. ამ უკანასკნელ დღეებშიაც მომხდარა ერთი უბედურება, რომელიც, უეჭველია, კიდევ უფრო უმართებულოდ აალაპარაკებს გერმანელს მწერლობას. საქმე ის არის, რომ გერმანიის საზღვრის მახლობლად, საფრანგეთის სოფ. სიუარსში, უპოვნიათ მოკლული გერმანელი ჟანდარმი. რასაკვირველია, გერმანია თავისის ქვეშევრდომის მოკვლას და ისიც ჟანდარმისას მიაწერს ფრანგების სიძულვარესა და მტრობას გერმანიისადმი და ეცდება ეს დანაშაულობა თავზე მოახვიოს მთელს ერსა და მართებლობას საფრანგეთისას. ერთის სიტყვით, გერმანიის მმართებლობა და მწერლობა ყოველ გვარს ღონისძიებას იხმარებს მთელი საფრანგეთი აღიაროს დამნაშავეთ ამ საქმეში. საფრანგეთის მმართებლობას-კი ფიცხელი განკარგულება მოუხდენია ეს საქმე ბეჯითად და გულ-მოდგინედ გამოიძიონ, რათა გერმანიას საბუთი არ მიეცეს წინანდებური უსიამოვნო და უმართებულო ლაპარაკი დაიწყოს. საფრანგეთის ზოგიერთი გაზეთები ამბობენ, რომ ის ჟანდარმი გერმანელ კონტრაბანდისტების მოკლული უნდა იყოსო, ხოლო ზოგიერთის აზრით, ჟანდარმს თავი თვითონ მოუკლავსო.

როგორც იწერებიან, საბერძნეთის მეფეს გიორგის განზრახვა აქვს ტახტიდგან გადადგეს და თავისი ადგილი დაუთმოს მემკვიდრე პრინცს კონსტანტინეს. ამბობენ, რომ მეფე გიორგი მეფობაზე ხელს აიღებს, როცა პრინცი კონსტანტინე ჯვარს დაიწერს პრინცესა სოფიაზე და საცხოვრებლად წავა დანიაში, სადაც ამ ხანებში ახალი სასახლე შეუძენიათ.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ამბობენ: მარიამობისთვის მეორე ნახევარში თორმეტი ინგლისელი წასულა ყაზბეგის მთის წვერზედ ასასვლელად. ეს ოც-და-ორი, თუ ცხრა დღეა, იმათი ამბავი აღარავინ იცის. ესეთი დაგვიანება მით უფრო საკვირველია, რომ მარტო ექვსის დღის საგზალით წასულან. ინგლისის საგეოგრაფიო საზოგადოებას მიუწერია ინგლისის კონსულისათვის ფოთში და დაუვალებია, რაც გინდ ხარჯი მოგივიდეთ, ნუ დაჰზოგავთ და დახოცილნი მაინც აპოვნინეთო.

*** ჩვენს ქალაქს დღე-დღეზედ ახალი შენობები და სახლები ემატება, მაგრამ მაინც კიდევ არა ჰყმარის, ვერ ასდის მცხოვრებლებს. დღე-მუდამ წიო-წიო დადიან დედაკაცი თუ კაცი სახლების საშოვნელად, მაგრამ ვერა ეშველათ-რა. კიდეც ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ ესაც-კი ორიოდე ოთახი უდგა, დანგრეული და დახავსებული, ოც-და-ხუთს მანათსა და სამს თუმანს აფასებს, როცა ამორის ოთახის ფასი, სულ ბევრი, თუმანი, თორმეტი მანათია.

*** ქ. ბათუმის მცხოვრებმა, ბ-ნმა ლევან მჭედლიშვილმა, შემოსწირა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ერთი ძველი «ვეფხის-ტყაოსანი», მაგ შეთში ნაპოვნი; იმავე ბ-ნს მჭედლიშვილს გადმოუღია პირი ერთის ძველის გუჯრისა, რომელიც ეკუთვნის ართვინის კორბულის ეკკლესიას. ეს პირიც, რომელიც უტყუარი საბუთია კორბულის ეკკლესიის წარსულისა, ბ-ნმა

# ფელეტონი

## დარეჯანი

(ფშავლების ცხოვრებიდამ)

დარეჯანი იქნებოდა 50 წლისა, მაგრამ 30—35 წლისასა ჰგავდა. იგი იყო შავგვრემანი, უზომოდ მაღალი. სახის გამომეტყველება ჰქონდა მძლავრი: დარეჯანის პირდაპირი, შეუპოვარი ცქერა კაცს ძალა-უნებურად შეაკრთობდა. ამასთან ერთად წარმოიდგინეთ იმისი ვაჟკაცური, რიხიანი ხმა და საუცხოვო ჩაცმა-დახურვა. იმ სიმაღლე დედაკაცი ხანდახან მარტო ჯუბას ჩაიცვამდა, ჯუბას, რომელიც ერთი-ორად სიმაღლეს უმატებდა. წელზე შემოიჰკერდა პტყელს ტყავის ქამარს, რომელზედაც ტყავის ქარქაშით ხანჯლის ტოლა დანა ეკიდა. დარეჯანს, როდესაც იგი გაემგზავრებოდა სადმე, ხელში ეჭირა თავის ტანზედ აცილებულს ხის ტარზედ დაგებული შუბი. დარეჯანი სოფლის დარაჯადა და პატრონად იყო სწორედ დაბადებული. იმაზე ადრე სოფელში არავინ გაიღვიძებდა; გაღვიძებისათანავე იმისი ხმა ჰექა-ქუხილივით გაისმოდა გაღმა-გამოღმა. აგერ ერთს გასძახის: „სად ეინა ხართ, დალია ხბუებმა ყანა, მწყერელ-ჩეილებო?!“ ახლა მეორეს: „მიეშველე, თორო გადმუარდება ბალღი, თეთრუავ! ჰაი, შე უკლოვ, შე უგერგილოვ, შენა!“ ლაპარაკობს სადმე სამი კაცი, დარეჯანიც იმათში ჩაერევა და ერთ-ერთსაც იქნება «დაჰრიშხნავს», შეუტევს: „შენ ამას არ ედავებოდე, ბეჩავო, მამულსა, გაისარჯო, თავად გააკეთო მამული. ღმერთმა იმით არ მოგვცაა ე ხელები გაისარჯენითო, გან იმითა, რო მიწის საჭმელად გაასუქეთო“. დარეჯანი მაშინვე თავისს თავს წაუყენებდა მაგალითად: „მე სოფელმა მამული არ მამეცით, აბა გაჰხედენით მაშუბსა, აის მამულები, საქერეები ვისი გატეხილია? ემისა არი, უყურეთ ჩემს ხელებსა, დღე და ღამ იქ მოვეკალ თავი და, დაილოცოს ღვთის მადლი, ერთი ლუკმა პური არ მაკლია დღესა. თქვენ ერთმანეთს ებძვით, არა მე უნდა მეჭიროს მეტი მამული, არა მეო. განა ჩხუბით-კი მაემატება მამულებსა, ცოდვილნო?!“ სოფლელნი დარეჯანს ათას ნაირს, არა საძრახს და საკიცხავს, არამედ სასიქადულო სახელს ეძახდნენ. მე ამ სახელებიდამ ორი მახსოვს: ერთი «დევა» და მეორე „პარახოტა“. მაგრამ ვინც ამ სახელებს დაუძახებდა დარეჯანს, იმას არ შეიძლებოდა თანაც არ დაემატებინა შემდეგი სიტყვები: „ბეჩავ, დედაკაცო, ცოდვა არ არია შენ კაცი არა ხარ!“ დარეჯანმა ცხოვრებაში ბევრი წვა-დაგვა გამოიარა და წვა-დაგვითაც დაასრულა თავისი სიცოცხლე. დარეჯანი 18-ის წლისა დაქვრივდა; იმისი სახელი შორს იყო გავარდნილი: დარეჯანს აქებდნენ სილამაზით, „თავ-გზიანობითა“ და მეოჯახობით. მთხოვნელი გულში ბევრი იყო დარეჯანისა, მაგრამ ვერავინ ჰბედავდა გარდა ურჯუკისა. ურჯუკი სხვა თემისა და სხვა სოფლელი იყო. ურჯუკმა დარეჯანს «მარჯეკალი» გაუგზავნა. მაჭანკლობა საზოგადოდ ბევრ დედაკაცების ხელობაა. სამეფო ბიჭები მაშინვე იმათ მიჰმართავენ საქმის გასარიგებლად, რადგან ისინი უკეთ იცნობენ მამაკაცისა და დედაკაცის გულსა, იციან რით და როგორ მოაწონონ ქალ-ვაჟს ერთმანეთი. სოფელ გ—ში, სადაც დარეჯანი იყო გამოთხოვილი, სცხოვრებდა დიდის ხნის დაქვრივებული მამიდა ურჯუკისა შამანდუხი. ურჯუკს სხვისათვის ვისთვის უნდა ეთხოვნა შუაკაცობა, თუ არ თავისის მამიდისათვის?! შამანდუხი იმ დროს მივიდა სამაჭანკლოდ, როცა დარეჯანს კეცი გადმოღებული ჰქონდა და პურის „ჩაცხობას“, ჩაკვრას აპირებდა. შამანდუხი რა წამს დარეჯანთან კარებში შევიდა, იმ წამსვე ქებით მიჰმართა დარეჯანს.

— გენაცვალე, შვილო, სთქვა მოსაწყლებულის ხმით შამანდუხმა, —რა თავ-გზიანი ხარ და ყინჩი (კარგი).

კერის პირას დარეჯანის ორის წლის ვაჟი გამახარე იჯდა და ნაცარს ურევდა ჯოხით. შამანდუხი მოეხვია ბავშვს, თანაც თვალები მოუცრემლიანდა. გამახარეს ლარადულა (ჩირი) და თხილ-კაკალი მისცა და თან დაიწუწუნა:

— ჩამოგვიდნი აგრია, ვაჟავ, ობოლავ, ტიტველ-შიშველო!

შემდეგ ჩვეულებრივად მოიკითხა დარეჯანი.

— რას კილოსა ხართ დამიტირე, ხო არა გიჭირსთ კაცით, საქონით, მერავ, — ან ამ ვაჟს ხო არა გტკივა?

— არა გვიჭირს, შენი ჭირიმე, დღესნამდინ ცოცხალანი ვყრივართ, ღმერთმა გიცოცხლოს მზის საფიცარი. მემრე თავად ხო არა გიჭირსთ? ჰკითხა დარეჯანმა.

— არცარა ჩვენ გვიჭირს, აგრემც დამმარხავ.

სტუმარი და მასპინძელი ერთად ჩამოსხდნენ სადედაკაცო კერაზე. დარეჯანმა შამანდუხს ნაბადი დაუგო. შამანდუხს იღლიაში ტარ-ფარტენა ეჭირა ხოკრით. ხოკრიდამ საგრეხელი ამოიღო და დაუწყო მატყლს რთვა, თან დაწვრილებით ჰკითხავდა დარეჯანს ყოფა-ცხოვრებაზედ.

— მებრალები, სთქვა შამანდუხმა ამოოხვრით ბოლო დროს: მებრალები, ჩემთ მკვდართ ცხონებამა, ბალღი ხარ, შვილო, ჯერ შენა, ჯანი გაქვის, მაგრამ განა სრულ ეგრე იქნები?! შენ თუ პატრონი არ იშოვნე, დედაშვილობამა, არ გამოგადგება ეგრე ყოფნა. კაცს გიშოვნი ისითასა, რო შენს ბედს ქვეყანა მიჰნატროდეს.

ეს უკანასკნელი სიტყვები შამანდუხმა ჩურჩურით წარმოსთქვა. დარეჯანი ამ სიტყვაზე აენთო; გათხოვება ფიქრადაც არ მოსვლია არა დროს, იგი წრფელის გულით უერთგულებდა გარდაცვალებულს ქმარს, მით უმეტეს, რომ უძეოდ არ დაქვრივებულა. შამანდუხის რჩევა არ მოეწონა.

— ჩემგნით არ გეკადრება-კი შენად, — სთქვა სახე-ალეწილმა დარეჯანმა, — და რა ვქნა, გკადრებ. მაგისთანა ქართულების გაგონება არ მინდარის, მაგად თუ დასძვრები აქა, შე სულელო?! ადე, ადე, გამოძვერ აქითა, ადე დაითხიე, თორო ერთს უნამუსობას გაჭმევ, ჩემის გამახარეს დღეგძელობამა.

— არ გინდა თავს თავისად კარ-

მჭედლიშვილმა გამოუგზავნა „წერა-კითხვის საზოგადოებას“, რომლის გამგეობა მადლობას უძღვნის ბ-ნს შემომწირველს.

*** 16-ს ამ თთვისას კრწანისის კლდეებში უპოვნიათ მოკლული მონადირე „არტემა მეზურნე“. საბრალო ერთს კვირაზე მეტია, რაც სანადიროდ წასულა. ავაზაკებს თოფი წაურთმევიათ და მოკლულის გვერდით დარჩენიათ დასისხლიანებული კომბალი. ძაღლი გვამს არ მოსცილებია და იქვე მკვდრის გვერდით წოლილა. საბრალო არტემას სრულიად უსაშველოდ დარჩენია ცოლი და ხუთი მცირე-წლოვანი ყმაწვილი.

*** იბეჭდება და მალე გამოვა ზლაპრული მოთხრობა „დავრიშიანი“. ეს ნაწერი პირველად 1875 წ. გამოიცა და ეხლა ხელ-მეორედ იბეჭდება, რადგანაც პირველი გამოცემა აღარსად იშოვება.

*** ამ ბოლოს დროს ევროპიდგან კრამიტის შემოტანა ძალიან გახშირეს. ეს კრამიტი მარსელიდამ მოაქვსთ. ამ გარემოებას ცოტა არ იყოს ჩვენებური მეკრამიტეები ერთობ შეუფიქრებია. ამ ბოლოს წლებში ჩვენებურის კრამიტის ფასმა ერთობ დაიწია. აქამდის ათასი ცალი კრამიტი 15—16 მანეთად იყიდებოდა და დღეს 10—11 მან. ფასობს.

*** სოფ. ფლავიდგან (გორის მაზრა) გვწერენ შემდეგს სამწუხარო ამბავს: დიდი ხანია, რაც ორს აქაურს მცხოვრებს გ. უთნელიშვილს და ნ. დაფქვიაშვილს დავა ჰქონდათ ადგილ-მამულის შესახებ. არ იქნა და ამ დავას ვერ მორჩნენ; ამიტომ იმათ შორის მუდმივი უთანხმოება და უსამოვნება სუფევდა და ამ გარემოებამ ერთი მათგანი კიდეც იმსხვერპლა ამ დღეებში. გ. უთნელიშვილი მუშაობდა სადავო მიწაზე; ნ. დაფქვიაშვილმა ეს არ მოიწონა, წაელაპარაკა უთნელიშვილს და ეს წალაპარაკება იმითი გათავდა, რომ ნ. დაფქვიაშვილმა უთნელიშვილს თავში კეტი დაჰკრა და იქვე სული გააგდებინა ნ. დაფქვიაშვილი მოხუცებული კაცია.

*** ბათუმიდგან გვწერენ: წარსულს თთვეებში გრაფის უვაროვის მეუღლე მოგზაურობდა აჭარა-შავშეთში. ქ-ნს უვაროვისას ამოუთხრევინებია ერთის ძველის ეკკლესიის ნანგრევები და ამ ნანგრევებში უპოვნია რამდენიმე ზედ-წარწერილი ქვა; ეს ქვები ჩამოატანინა ბათუმში და აქედგან მოსკოვში გაგზავნა. როგორც მცოდნე კაცები ამბობენ, ნაპოვნი ქვები ფრიად საყურადღებოა არხეოლოგებისათვისაო.

*** გუდა-მაყარი: წარსულის თთვის 19-ს გუდა-მაყრელებმა გადაიხადეს «აჯობის» დღეობა. ამ დღეს მთელი გუდა-მაყარი, თავისის დეკანოზებით, ანუ ხევის-ბერებით, წაასვენებენ ხოლმე ჯვარს ჩრდილოეთისაკენ, ბაკურხეობაში, სადაც გადაიხდიან ხოლმე დღეობას «ფუძის ანგელოზის» სახელზე. წელს ამ დღესასწაულზე დაესწრნენ მ. ბლიოჩინი ანანურისა გ—ძე და მღვდელი მ. კ—შვილი, რომლებიც ბევრსა სცდილობენ ძველის-ძველი ჩვეულებანი მოსპონ. ბლიოჩინმა გამოუცხადა ხალხს, ნებას არ მიესცემ დეკანოზებს, რომ დაგამწყალობოთ და სამლოთ დაგიკლათო. ხალხს ძალიან ეუცხოვა ეს ამბავი და ერთ-ხმად გაიძახოდა: „ნუ შეგვიშლით თემს, ხელმწიფეც ვერ შეგვიშლის და ვერ მოგვისპობს სჯულსაო“. საქმე იქამდე მივიდა, რომ მ. გ—ძე იძულებული იყო ნება დაერთო დეკანოზებისათვის. კიდევ კარგი, რომ საქმე ამ რიგად გათავდა, თორემ უსიამოვნებაც მოსალოდნელი იყო, მით უფრო, რომ ხალხი ნაქეიფარი იყო. მართალია, ზოგი ძველი ჩვეულება მავნე და მაზარალებელია, მაგრამ ამ ნაირად ბრძოლა ამ ჩვეულებასთან, როგორც ჩვენში იციან ხოლმე, უფრო მავნეა, ვიდრე თვით დაწუნებული ჩვეულება.

*** შავშეთი (ბათუმის მხარე): შავშეთში შესანიშნავი ტბეთის ეკკლესიაა. ეს დიდებული ნაშთი ჩვენის წარსულისა ამ ჟამად სწორედ გულსაკლავი სანახავია. თუმცა იგი სუფთად დაცულია, მაგრამ სიძველის გამო ბევრს ხანს აღარ დარჩება წარსულის მოწამედ; ზემოდამ უკვე ინგრევა და სადაც არის მიწასთან გასწორდება. ჩვენის აზრით, ცოტაოდენი ფული რომ დაიხარჯოს, ჯერ კიდევ ბევრს ხანს დაატკბობს ქართველის თვალსა და გულს ეს ეკკლესია წარსულის მოგონებით. ბევრი ძველი მხატვრობა გვინახავს, არა თუ ჩვენს ეკკლესიებში, არამედ სხვაგანაც, მაგრამ ამ ნაირი ხელოვნური მხატვრობა, როგორიც ამ ეკკლესიაშია, იშვიათია. არა ნაკლებად შესანიშნავი ჩუქურთმებია გვერდებსა და კარებებზე, მაგრამ სამწუხაროდ ყოველსავე ამას დრო შემუსვრას უპირებს, თუ რომ ჩვენ არ ვიზრუნეთ და დროზედ არ მივხედეთ. კიდევ კარგი, რომ ეკკლესია სუფთად არის შენახული (ზოგან ძველს ეკკლესიებს ბოსლადა და საბძლად ხმარობენ, როგორც, მაგალითად, სხალთაში). ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ შავშეთის უფროსს ბ-ნ კამსარაკანს, რომელიც დიდის ყურადღებით ეპყრობა ძველს ნაშთებს და სდევნის იმას, ვინც გაჰბედავს ან უსუფთაო ზასა და ან ქვის წაღებას ნანგრევებიდგან.

*** რომის ერთს სასულიერო სურათებიან გაზეთ „ევს მისიონ დე კოლეჟ“-ის ნომრებში დაბეჭდილია საინტერესო წერილი საქართველოს ერისა და ეკკლესიის შესახებ; ამას გარდა ამ წერილში ბევრი ცნობებია საქართველოს ქართველთა და სომეხთ კათოლიკეთა შესახებ და აგრეთვე ისიც მოხსენებულია, თუ ევროპიდგან შემოსული კათოლიკე სხვა-და-სხვა ორდენების ბერები როგორ ავრცელებდნენ ქრისტეს სარწმუნოებას კავკასიის მაჰმადიანთა შორის და განსაკუთრებით გამაჰმადიანებულ ქართველთა შორის, რომლებიც მას აქეთ, რაც სამცხე-საათაბაგო ოსმალეთმა დაისაკუთრა, მაჰმადის სარწმუნოებაზედ იქმნენ მოქცეულნი. ეს წერილი ეკუთვნის ბ-ნს მარენკოს, რომელიც საფრანგეთის ვიცე-კონსულად იყო ბათუმში, იმ დროს, როცა ბათუმი ოსმალეთისა იყო. ბ-ნს მარენკოს ცნობები შეუკრებია საქართველოსა და აზიის სხვა-და-სხვა ქალაქებში მოგზაურ პატრების ნაწერებიდგან. ამ წერილშივე მოქცეულია სურათები გაბრიელ ეპისკოპოზისა, გელათის ტაძრისა და სვანებისა, მეგრელებისა, გურულებისა და იმერლების ტიპები. დამწერი საქართველოს ეკკლესიის დღევანდელს მდგომარეობასაც ეხება. ბ-ნის მარენკოს წერილი კარგად გამოადგება იმას, ვინც საქართველოსა და კავკასიის ქართველ და სომეხ კათოლიკეთ ისტორიას იძიებს და სწავლობს.

გუშინდელის №-ის სათაურში არის მხრივ შეცდომით არის დაბეჭდილი № 193, უნდა იყოს № 194.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ბექათუბანი (შორაპნის მაზრა). ბექათუბნის რკინის გზის სადგურიდამ რომ დასავლეთით ერთს ვერსზე ცოტა მეტი გაიაროთ, მარცხნივ შენიშნავთ ხევს. ამ ხევს უნდა აჰყვეთ და გაიაროთ თითქმის რვა ვერსის მანძილი, თუ გნებავსთ ჰნახოთ ცხრილ-წოდებული ნუნის აბანო. ეს აბანო ორია: „ქვედა და ზედა“. ამბობენ, რომ ორივე მისწრებაა ქარებისაგან შეპყრობილთათვისაო. პირველი დაბლობშია, თითქმის შუა მანძილზეა რკინის გზის სადგურიდამ; მეორე კი მაღლობზეა, მაღალ მთებს შუა. „ქვედა“ უფრო მისადგომ ადგილზეა, „ზედა“-კი მეტად მიუდგომელია. მხოლოდ ქვეითად შეიძლება ავიდეს იქ კაცი.

ხალხი ამ აბანოებს ყოველ წელს ბევრი ესწრება. წყლები გოგირდისაა როგორც „ზედა აბანოსი“, ისე „ქვედასი“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველი ცოტათი თბილია, მეორე-კი ყინვასავით ცივაა. ხალხი უფრო „ზედა აბანოს“ ეტანება, ვიდრე „ქვედას“. აბანოები თავად აბაშიძეების მამულშია და იჯარით აქვსთ აღებული ორსა თუ სამს კაცსა. აბანოები ფრიად მოუწყობელია, ბინძურად შენახული და ავადმყოფს ბევრი რამ უშლის ხელს ამ აბანოში თავისი სნეულება განიკურნოს. თვითონ ადგილი-კი მშვენიერია, ბუნება აქაური მეტად სასიამოვნოა.

წლიური შემოსავალი ზედა აბანოსი ასს თუმანს აღემატება და ჰმეშაობს მაისიდგან დაწყებული მთელს ზაფხულს. მადნის წყლები აქ ბევრგან სხვაგანაც გადმოსჩუხჩუხებს. ამბობენ, რომ ეს წყლები თავის ტკივილსაც სპობენო. აქაც თითო თავის დასველებაში შაურს ახდევინებენ, თუმცა-კი ჩვენ ამ წყლებ შორის ვერა რაიმე განსხვავება აღმოვაჩინეთ: ყველა ერთის ფერისა არის, გემოც ერთი აქვს, სითბოცა და ის კი ვერ შევგიტყვია, რისთვის ახდევინებენ ხალხს ორ ნაირს გარდასახადს?

როგორც ზევითაცა ვსთქვით, შემოსავალი საკმაოა აბანოსი და გასავალს ერთი ხუთად აღემატება. მაშ რა უშლის ხელს მოიჯარადრე ჩარჩებს, რომ როგორც წესი და რიგია, ისე შეაკეთონ აბანო? ქვა, ხე-ტყე, ერთის სიტყვით, სულ ყოველი შენობისათვის საჭირო მასალა იქვეა, თვალ-წინ; ოსტატის მეტი საჭირო არა არის-რა.

დასასრულ, ჩვენ თავს ვალდებულად ვრაცხთ ორიოდე სიტყვა კიდევ წარმოვსთქვათ მოიჯარადრეთა საყურადღებოდ. ჩვენის ფიქრით, ურიგო არ იქნება მოიჯარადრეებმა ამ მართლა და საყურადღებო გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ. ერთის წლის შემოსავალი აბანოს გადასაკეთებლად გადასდონ, გზებიც შეაკეთონ, სისუფთავეც დაიცვან. ეს არც იმათთვის იქნება ურიგო, რადგან ამ შემთხვევაში ხალხს იქ მისვლა გაუადვილდება და ამას, რასაკვირველია, დღევანდელზე უფრო მომეტებული შემოსავალი მოჰყვება.

ალ. ოთიაშვილი

---

გი და ეშმაკსა ჰქონდეს შენი სულხორცი, სთქვა შამანდუხმა კარების გასავალში.

დარეჯანი სიკვდილამდე პირველის ქმრის ერთგული დარჩა. ბევრი სხვა-და-სხვა ხმა დადიოდა სოფ. გ—ში დარეჯანზე და რაც მართალი იყო, არც თითონ ჰმალავდა. სხვათა შორის აი ერთი მოთხრობა იმაზედ, თუ როგორ ამოთხარა დარეჯანმა თავისი პატარა ქალი ნენე საფლავიდამ.

— სუყველა საკვირველს შენ რად ჩაიდენ, დედაკაცო, ჰკითხავდა სალია დარეჯანს. საფლავშიით შვილის ამოთხრა რამ-ღა მოგაგონა?

— ერთს წელს სუ გაბრუებული ვიყავ, იტყოდა დარეჯანი: დახელთალიევით დავდიოდი. ერთხელისა, შუაღამისას, დიდი ნაორღვენი მოიდა, დელგმა, ავდარი. არ მეძინებოდა, ვერ მოიხუჭედ თვალნი, ჩამაუდნეს დედა, ნენე მიდგებოდა თვალთ წინა. ვიფიქრე: ე ჩამოსადნობი რას უწევარ ამაში?! მე აქა ვწევარ მშრალად და ეს ამოდენა ნიაღვარი ჩემს შვილს გადასდის თავზედაო. თან ისიც მამაგონდა, რო გველ-ბაყაყები ჩაუძვრებოდენო ავმდგარიყავ და გავქცეულიყავ სასაფლაოზე. მე რავ როგორ ამოვთხარე. მაშინ-ღა მოვედ გონსა, კუბოს თავი რო ავგლიჯე და სული მეცა, მითამ პირზე სამა ვკოცნიდი. თანდათან გამოვფხიზლდი. მივიხედმოვიხედე, დავშინდი: ვაჰმე, არავინა მნახოს, ვინ რას იტყვისო?! მივაყარე ისივ მიწა და გამოვიქე რაც ძალი და ღონე მქონდა. წყალზე რო ჩამუედ, დავიყვირე და მითამ ტირილივით გავიგონე, ჩემის ქალის ტირილსა ჰგავანდა. ჯერ გაბრუნვა გავბედე... მემრე დავფიქრდი, როგორ-ღა იტირებს ჩემი შვილი, მიწაში ჩამპალიო. შავეხვეწე ჩემის მამის სალოცავთა, —დამასვენეთო. მემრე კიდევ გონთ მუედ.

ერთის წლის შემდეგ დედამთილიც მოუკვდა. რიგი ყველას თითოს დაუყენა. ხატში კისრით თითონ მიიყვანდა საკლავს, იგი შორი-ახლოს დადგებოდა. დასტური მოეგებებოდა და ჩამოართმევდა საკლავთან ერთად ქადა-პურებსაც. სოფლელნი დარეჯანს გამრჯელს ეძახდნენ: „დარეჯანი ისე არ დააყენებს ხელთა, როგორც ე ჩამდინარნ წყალნი არ დადგებიანო“. დარეჯანმა გამახარე პატარაობიდგანვე შეაჩვია მუშაობას, უსაქმოობასა და უქმად ყოფნას უშლიდა. გამახარე, რაკი იდროვებდა, ტოლებში გაერეოდა, მაგრამ დარეჯანი იმას ჩქარა იპოვნიდა და ხელ-შუბიანი სულთამხუთავივით წაადგებოდა თავსა.

— რას ეშმაკს უზიხარ ამაში, ეტყოდა იგი მრისხანედ: და არ მიეპატრონები ი თავის ბეჩაობასა.

— ბატარა ხან კიდევ ვიქნები, ჩემო დედავ, შენი სულის ჭირიმე, ეტყოდა ყელ-გადაგდებით გამახარე. იმას სწორებიც მიეშველებოდნენ, სთხოვდნენ დარეჯანს ნება მიეცა გამახარესთვის იმათთან დარჩომისა. „დარჩეს ბატარა ხან, ვიფიხვნებთ, ჩემო დარეჯანო, კიდევ, დედა-შვილობას და მერე წავალ-წამუალთ ყველანი. განა ჩვენ საქმე დალეულები ვართ!?

დარეჯანი იმათაც შეუტევდა და მაინც თავისას გაიყვანდა, გაისტუმრებდა გამახარეს შინ. გამახარე დავაქკაცებული იყო, რომ დედისათვის ერთი მაღალი სიტყვა არ უთქვამს. დარეჯანი გამახარეს ხშირად ქორწილშიაც მიუხტებოდა, „ჯარ ზეით“ აყენებდა და გააგდებდა სახლში.

— განა სულ ქორწილი იქნება, მწერ-ჩვალო! მალე შამოგელევა მუქთი სასმელ-საჭმელი, შენი ქორწილი აი შენი სახლი და საქმეა, არ იცია!? გამახარე თავისუფლებას, სიამოვნებას მოკლებული იყო, დედის ბრძანებას ვერა სტეხდა; ამისთვის, მართალია, აქებდნენ, მაგრამ თავს-კი დაჩაგრულადა ჰგრძნობდა.

## II

დარეჯანი ვაჭრებს, ჩარჩებსაც სუსხს აძლევდა. ისინი იმას „ახმახ დარეჯანას“ ეძახდნენ. ჩარჩებს დარეჯანი ეჯავრებოდათ და დარეჯანს ვაჭრები, თუმცა-კი ისევ იმათაგან ვაჭრობდა, ვაჭრობდა და თან ეჩხუბებოდა. გამვლელ-გამომვლელს ჩარჩს ისე არ გაიცილებდა, რომ არაფერი ეთქვა, არაფერი ეწყენინებინა.

რად გეჯავრება ჩარჩებიო, რომ გეკითხა დარეჯანისათვის, „რჯულძაღლებია, გვატყუებენ ბრმა-ყრუს ხალხსა, იმითაო“ გიპასუხებდათ. დარეჯანი ყველაზედ მეტად არუთინასა სტანჯავდა. ეს არუთინა ფრიად გაქნილი ვინმე არის. 25 წელი იქნება, რაც იგი ფშავში ჩარჩობს. არუთინა ყველას იცნობს და ყველანი იმას იცნობენ, დაშინაურებული კაცია. ფშაური ფიცი იცის, ფშაურს კილოზედ საუბარი,

— ლაშარის ჯვრის მადლმა, ამბობს არუთინა, — ეს ჩითი დამპალი არ არის.

— ისე გიშველოს შენ ლაშარის ჯვარმა, როგორც შენ იმას მართლა ჰფიცულობდე! ეუბნება დარეჯანი.

არუთინა თაგვივით წვრილს თვალებს აციმციმებს და თხელს, მოკლე წარბებს შეათამაშებს. ვაჭრობის დროს დარბაისლობს, არ გაიცინებს, თუმცა იოხუნჯებს კი, მაგრამ გამჭრიახი, გამოცდილი თვალი მალე შეატყობს, რომ არუთინა თავიდამ ფეხებამდე სიცრუისაგან, სიფლიდისაგანა და ეშმაკობისაგან არის მოქსოვილი. არუთინას ტანზედ ერბოთი გალესილი ახალუხი აცვია, თავზედ ბუხრის ქუდი ახურია, ადგილ-ადგილ ამოგლეჯილი; იმისი ქუდი მგლისაგან დაგლეჯილს ცხვარს მოგაგონებსთ. საბრალოა ეს ქუდი მაშინ, როდესაც არუთინა ვაჭრობს, საცოდავი ქუდი ხან წინ შუბლზე გადმოხტება, ხან აქეთ, ხან იქით, ხან უკან, ერთის სიტყვით რომ ვსთქვათ, —არუთინას თავზე ბუქნას უვლის. მეტის-მეტი სასაცილო (რა თქმა უნდა საზიზღარიც) რამ არის ამ დროს არუთინა და უფრო მაშინ, როცა ვაჭრობას გაათავებს, მოსჭრის ჩითს და ახლა საქმე კარაქის, ერბოს აწონაზედ მიდგება. მაშინ არუთინა პატარძლად იქცევა, უცოდველ, უვნებელ კრავად, ტუჩებს მოიპრუწავს, თვალებს შორს გაუშტერებს და აღარ უცქერის იმის წინ წამოჩოქილს ფშაველის დედაკაცებს; ქუდიც დაისვენებს, აჭიმული წარბებიც შეჩერდება. იგი ამ დროს ჰგავს გაზაფხულის გაქუცულ მელას, რომელიც ჩიტებს ეპარება. მაგრამ დარეჯანი არუთინას ისე შეუბრალებლადა და სასტიკად არ მოჰქცევია არა დროს, როგორც ერთხელ მოექცა. დარეჯანს ხელში და გულში საბუთი ეჭირა. აი ეს რა საბუთი იყო. იმავე სოფელში სცხოვრებს მარტო ხელი

# უცხოეთი

ინგლისი. ამას წინად ერთს ბირმინგამელს გაზეთში იბეჭდებოდა წერილები უნიონისტების პოლიტიკის შესახებ. მაშინ არავინ იცოდა ვინ იყო ავტორი ამ წერილებისა, ეჭვი-კი ჰქონდათ, რომ ბირმინგამელის დეპუტატის ბ-ნის ჩემბერლენისა უნდა იყოსო. ეხლა ეს ეჭვი უადგილოა, რადგან წერილები უკვე ცალკე წიგნად დაიბეჭდა და ზედ ჩემბერლენის სახელი აწერია.

„ამ წიგნშიო, ამბობს ჩემბერლენი წინასიტყვაობაში,—ლაპარაკია უნიონისტების პოლიტიკაზედ. წიგნს აზრადა აქვს მხოლოდ აალაპარაკოს მცოდნენი კაცნი, რათა კვლავ განხილულ და განსჯილ იქმნას ის დიდი საგნები, რომელიც გლადსტონის კანონ-პროექტებმა დაჰბადა და გააჩინა. ეს კანონ-პროექტები პალატამ არ შეიწყნარა, ქვეყანამ უარ-ჰყო, კეთილგონიერებით ვერ არის შედგენილი, ვერ განხორციელდება ცხოვრებაში და ვერც საბოლოოდ გარდასწყვეტს ირლანდიის საქმესაო.

„ჩემი პროგრამაო, განაგრძობს წინასიტყვაობის ავტორი,—ორს დედა აზრზეა დამყარებული: ერთი აზრი ის არის, რომ შეიძლება კეთილ-გონიერად განვაგოთ ირლანდია და თან ჩვენს ლიბერალობასაც არა დაუშავდეს რა. მეორე აზრი ის არის, რომ არ შეიძლება, დღევანდელისებურად, სულ ძალ-მომრეობისა და უარ-ყოფის პოლიტიკით მოქმედება ირლანდიაში. საჭიროა ისეთი რამეც კეთდებოდეს, რაც სიკეთეს შესძენს ირლანდიას და გულს მოიგებს იმათსას. მართალია, საჭიროა, რომ კანონი პატივცემული იყოს და წესიერება დაცული. ეს საქმე მთავრობის მოვალეობაა და თვით დემოკრატიის სასარგებლოც არის, რომ კანონს ემორჩილებოდნენ, იმიტომ-რომ ეს კანონი თვით ერის ნებით არის დაარსებული; იმისის სურვილით გაჩენილა და იმისის სურვილითვე შეიძლება უარ-ყოფილ იქმნას. თუ არ ეს კანონი, შეიძლება დემოკრატია მსხვერპლი შეიქმნეს უწესოებისა, ანარხიისა და მტარვალობისა. მაგრამ ამასთანავე არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ის უმრავლესობა, უფრო ის ერთი, რომელიც კანონს აარსებს, მოვალეა თვალ-ყური უგდოს ამ კანონს და შეიტყოს, სამართლიანია, თუ არა; შეეფერება ერსა და ეთანხმება ერის ყველა დასებისა და თემის სურვილსა, თუ არა. რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ სურვილი უმცირესობისა დღეს-დღეისობით მავნებელი იყოს მთელის ერის ან კეთილდღეობისა და ან უშიშროებისათვის, მაგრამ რაკი სურვილი არსებობს და თავს იჩენს, საჭიროა საქმე კვლავ დაფიქრებით იყოს განხილული და დაეთმოს უმცირესობას იმდენად, რამდენადაც იგი დათმობა საზარალო არ იქმნება უმრავლესობისათვის. ამ ჟამად სამს მილიონამდე ირლანდიელნი ითხოვენ თვით-მმართველობასა და ცალკე პარლამენტს; იმათს სურვილსა და თხოვნას თანაუგრძნობს დიდ-ძალი ხალხი, თუმცა ეს დიდ-ძალი ხალხი უმცირესობაა დღეს. უმრავლესობას ჰგონია, რომ ამათის სურვილის შესრულება დაარღვევს ბრიტანიის სამეფოს ერთობასაო. ამიტომ ჩვენ, უნიონისტები, ავიჭურვენით ჰომრულის წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენ რაღა ლიბერალები ვიქმნებოდით, რომ ამითი გათავებულიყო ჩვენი მოვალეობა. ჩვენ ახლა უნდა გამოვიკვლიოთ, რა მიზეზია, რომ ასეთი სურვილი აქვსთ ირლანდიელთ და რა საბუთით თანაუგრძნობს უმცირესობა იმათს სურვილს, ისეთს სურვილს, რომელსაც შეუძლიან ჩვენი ერთობა დაამხოს. ჩემის აზრით, მიზეზი ამისა ირლანდიის ეკონომიური ყოფა-ცხოვრებაა. ირლანდიის ერის ცხოვრება ხვნა-თესვაზედ არის დამოკიდებული. ამის გამო შეუძლებელია ერმა ათასი გაჭირება არ გამოიაროს. როცა ცხოვრების წყარო ერისა და ქვეყნისა მხოლოდ ერთად-ერთია, გაჭირება აუცილებელია. ამ შემთხვევაში კანონ-მდებლობის ვალია მრეწველობა გააძლიეროს ასეთს ქვეყანაში და წარმოობა გაამრავალ-გვაროს. ამ აზრით ვამბობ მე, რომ სახელმწიფომ უნდა ისეთი სამუშაოები დაიწყოს ირლანდიაში, რომელიც ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას წინ წასწევდეს და ერსაც დღიურს ლუკმას გაუჩენდეს. უნდა გაკეთდეს რკინის გზები, ტრამვაები, არხები და სხვა ამ გვარი. უმთავრესი საქმე-კი კანონ-მდებლობისა მაინც საადგილ-მამულო საქმის გადაწყვეტაა. უსათუოდ უნდა გაძლიერებულ იქმნას რიცხვი წვრილთა მემამულეთა, მამულის მოსაკუთრეთა. მესამე საქმე კიდევ, რომელიც უნდა მთავრობამ გააკეთოს, თვით-მმართველობის საქმეა. რაკი ზემოხსენებული ორი საქმე გაკეთდება, მესამე საქმეც გაადვილდება და შესაძლებელი იქნება ფართო თვით-მმართველობა მიენიჭოს ირლანდიასაო“.

გერმანია. მიუნხენბერგს ახლო ჯართა ვარჯიშობა იყო. ამ ვარჯიშობას დაესწრო თვით იმპერატორიც. იმპერატორი უფროსობდა მესამე კორპუსს. გრაფი ვალდერზე, რომელმაც ეხლა დაიჭირა მოლტკეს ალაგი, განაგებდა საზოგადოდ ვარჯიშობის საქმეს: პირველმა გვარდიის ქვეითა დივიზიამ იერიში მიიტანა იმ კორპუსზე, რომელსაც უფროსობდა იმპერატორი. ბრძოლის დროს გვარდიის ჯარებმა კვლავ მიიტანეს იერიში და თუმცა თოფებიცა და ზარბაზნებიც ძალიან დაუშინეს, მაინც კორპუსი არ შედრკა. იმპერატორმა ყველას თავისი შენიშვნა მისცა და მერე კვლავ განახლებულის ძალით დაიწყეს ბრძოლა. პატარა ხანს უკან გათავდა ბრძოლა და ჯარები იქვე დაბანაკდნენ. კომისარიატი ჩინებულად აკეთებდა თავისს საქმეს. პრინცი ჰენრიხი, პრინცი-რეგენტი ალბრეხტი და სხვანი, რომელნიც დილის 6 საათზედ გავიდნენ ბერლინიდამ ამ ვარჯიშობაზედ, დაბრუნდნენ უკან ნაშუადღევის 1 საათზედ. გენერალ-მაიორი პაპე, რომელიც გვარდიას უფროსობდა, განსაკუთრებულს ორდენს მიიღებს, რადგან მეტად კარგად მხედართ-მთავრობდა.

— ბერლინი და, ამბობენ, ვენაც ძალიან შეფიქრიანებულნი არიანო. გაზეთის „Новости“-ს აზრით, ამ შეფიქრიანების მიზეზი ის არ არის, რომ პოლიტიკაში რამე ცვლილება მომხდარიყოსო. ავსტრი-გერმანიის კავშირი კვლავ შეურყეველია; იტალია ძველებურად ხსნას ისევ გერმანიისა და ავსტრი-უნგრიის კავშირში ეძებს. კრისპი და კალნოკი ისევ ფრიდრიხსრუეში დადიან და იღებენ დარიგებას, ვისგანაც ჯერ არს; ფრანგთა სახელმწიფო კაცნი მორიდებითა და სიფრთხილით იქცევიან. არა, პოლიტიკაში ისეთი არა მომხდარა-რა, თუ იმის არ ვიანგარიშებთ, რომ ვიღაც გერმანელი ჟანდარმი მოუკლავსთ საფრანგეთის საზღვარზე. შეფიქრიანების მიზეზი ის არის, რომამ ბოლოს ხანს თავნი კაცნი იცვლებიან გერმანიაში და ვაი თუ ბისმარკიც გამოიცვალოსო. ამაზე დაუწყია ლაპარაკი გაზეთს „Independance Belge“ ს. იმისი ნალაპარაკევი ბისმარკის გაზეთსაც გადმოუბეჭდია. თუ ფრიდრიხ III დროს ჰქონდათ ფიქრად შეემსუბუქებინათ ტვირთი ბისმარკისა, შეიძლება ეხლაც იმუშაოს ამ ფიქრმა და ნელ-ნელა ბისმარკი სულ განთავისუფლდეს საქმეებისაგანაო.

შვეიცარია. ძველი აკადემია ლოზანისა ეხლა უნდა უნივერსიტეტად გადააკეთონ. ერთმა უცხოელმა შესწირა ამ აკადემიას სამი მილიონი ფული და აი ამ ფულით და უცხოელის გულ-უხვობით ეღირსება ლოზანის უნივერსიტეტი. მთელი ქალაქი ამის გამო აღტაცებულია. ეს ფული არა ჰყოფნით, მაგრამ, იმედია, დანარჩენსაც მალე იშოვნიან. შვეიცარიელები ისეთის გულ-მხურვალებით არას ეკიდებიან, როგორც სახალხო განათლების საქმესა და ამისათვის ფულს არ ინანებენ. იქ მთავრობის ანაბარად არ არის გაზრდილი ეს საქმე. შვეიცარიელებს აკადემიური საზოგადოებანი აქვსთ შემდგარი და აგროვებენ ფულს სწავლა-განათლებისათვის. თითოეული შვეიცარიელი თავისს სადმრთო მოვალეობადა სთვლის ამ გვარ საზოგადოების წევრად ჩაეწეროს. მარტო ბაზელის საზოგადოებას ჰყავს 800 წევრი და თანხა აქვს 650,000 ფრანკი. ეს საზოგადება 50 წელიწადია რაც მოქმედობს და ამ ხნის განმავლობაში ბევრი საქმე გააკეთა: დააარსა ლაბარატორიები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები და სხვ. ამავე საზოგადოებამ შესწირა 176,000 ფრანკი მეცნიერებათა აკადემიას, 80,000 ფრანკი—პატოლოგიურს ინსტიტუტს და 160,000 ფრ.—ფიზიოლოგიურსა და ანატომიურს ლაბორატორიებს.

# წვრილი ამბები

პარიჟის გაზეთები სავსეა იმის შესახების ამბებით, თუ რა გვარს მდგომარეობაშია მსოფლიო გამოფენისათვის საჭირო სამზადისი. ცალკე განყოფილება იმართება რუსეთისათვის, ფინლანდიისათვის, ინგლისისა, ავსტრიისა, რუმინიისა, იტალიისა, ისპანიისა, პორტუგალიისა, ჰოლანდიისა, ბელგიისა და ლიუქსემბურგის დიდის საჰერცოგოსათვის. ყველა ამ ქვეყნებს თანხმობა გამოუცხადებიათ მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობის მიღებაზედ არაოფიციალურად. ხოლო ოფიციალურადკი მონაწილეობას იღებენ ნორვეგია, შვეიცარია, საბერძნეთი, ამერიკა, იაპონია, სიამი, სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკა და პროვინცია ვიქტორია ოკეანიაში. აქამდე ჯერ მონაწილეობის მიღების სურვილი არ განუცხადებიათ გერმანიას, დანიას, ჩერნოგორიას, შვეციასა და ოსმალეთს.

— ერთი ნიუ-იორკელი ქალი ამზადებს წიგნს, რომელშიაც ჩამოთვლილი იქნება ყველა მილიონის პატრონი და შეძლებული ქალები შეერთებულის შტატებისა. ამ შეძლებულთა ქალთა სიაში მხოლოდ იმათი სახელები იქნება, რომელთაც 2 მილიონს დოლარზედ ნაკლები ქონება არა აქვსთ. ქალებში ყველაზედ შეძლებულია ქ-ნი ტაილორი, რომ-

---

ალალ-მართალი კაცი ჯაბანა. ჯაბანას წინა წლებში საქონელი დაულია ჭირმა. ორის სულიდამ ორი კვებულა-ღა დარჩა. ჯაბანა დარდისაგან ლოგინად ჩავარდა. იგი იწვა ჩალა-დაგებულ წნელის ჯინში, რომელიც ზაფხულობით დერეფანში ედგა და ზამთრობით შინა. ჯაბანას სახლში სხვა არავინ გააჩნდა, არც ქალი, არც ვაჟიშვილი, გარდა ანუკასი, რომელიც სულ ფეხზე ტრიალებდა და თავისის მარჯვენით არჩენდა „დარჩომილს“ მამას. დარეჯანს ანუკა ძლიერ უყვარდა და როცა-კი შეჰხვდებოდა, ეტყოდა ხოლმე.

— ვენაცვალე შენს ქალობასა, შენს გარჯილობასა, ეგრე გენაცვალოს დარეჯანი, გაისარჯე, შვილო, გაურჯელედ არავის რა მოგვივა. დარეჯანს მამითადში, „მუშაში“ ოჯახის შვილებიც დაიპატიჟებდნენ ხოლმე, მაგრამ ის იმათთან არ წავიდოდა.

— ჯაბანას მივეშველებიო, იტყოდა დარეჯანი: უფრო მადლია. ერთიორი ძნა რო შაუკონო, იმათად კარგია,—იტყოდა და წავიდოდა კიდეც.

ჯაბანას ემართა არუთინასი ოთხი მანეთი. ორჯელ მივიდა არუთინა ჯაბანასთან ვალის სათხოვნელად, მაგრამ ვერაფერი მიიღო, რადგან მოვალეს არაფერი გააჩნდა. ჯაბანა თითონაცა სწუხდა ამ ვალის გადაუხდელობას და მოულოდნელად წამოიტყოდა ხოლმე თავისათვის: „დახე, შავრცხვი იმ კაცთანა, ვერას ღონეს გავხდი, ვერ ვუშოვნე“. არუთინასაც, როცა ვალსა სთხოვდა, ასე ეტყოდა:

— რა ვქნა, შენის თვალების ჭირიმე, ჩემო არუთინავ, განა არ იცი ჩემი ბეჩაობა, აი დამკვლიე, მეორე წელია ასე დავრჩი და ჩემის ხელით ჩხირი არ გათლილა ჩემს სახლში!? განა არ იცი, თუ თავის მარჯვენას არა გამუადნეთ, ძნელია ჩვენი დარჩომა!? მეც აი ქალის ამარასა ვარ, დავწვი, დავდაგე ეგეცა, ეგ ბეჩავი, დაწყდა ნაწლევებში. სხვისაგან ვივალო და შენ მოგცე, ისევ მე ჩემი დამემართება: როცა გნახავ, სირცხვილით სუ ტანიოგში დავიშლები. მრცხვენიან, განა არა მრცხვენიან, მაგრამ აბა რა ვქნა, რა გიყო?!

არუთინამ ბევრი აღარ იფიქრა, მამასახლისს „ამოუდო“ ერთი მანეთი და სთხოვა, რომ ვალში წაერთმია ჯაბანასთვინ ის ორი კვებულა. მამასახლისმა აუსრულა ეს თხოვნა არუთინას. ერთს დღეს გზირმა და არუთინამ გამორეკეს კვებულები და წაასხეს. ამ დროს ანუკა სამუშაოდ იყო წასული მეზობლებში.

— რა ვქნა, სთქვა განაცრებულმა ჯაბანამ, რა-კი გადასწყვიტა, რომ მიდიოდა იმის ხელიდამ ერთად-ერთი-ღა იმედი,—რა გითხრათ, თუ-კი ღმერთს არ შაჰხედავთ.

საღამოზე ანუკა დაბრუნდა, ბევრი იტირა საბრალომ, ილანძღა და იგინა. ანუკამ ჯოხ-დაბჯენილმა, მკვდრის პატრონიეით საცოდავად გაჰკივლა: „ვაჰმე, ჩამოგიღნესთ პატრონი, ჩემო მირეშავ, ჩემო კუდ-ბეჭედავ! ღმერთო და აი ჩემის მამის სალოცავო ნურას კარგს მაასვლებინებთ იმათ წამსხმელსა!..“ ანუკამ ქვითინით შესჩივლა ეს ამბავი ერთად-ერთს თავისს იმედს დარეჯანს.

—ვაჰმე, აღარას მიშველა ძალუაო, ქვითინებდა ანუკა,—რო ჩემი მირეშაიდ კუდ-ბეჭედაი ვალში წაუსხამ არუთინასა, იმ გმირის კოპალაის ლახტნაკრავსა, იმ შავის მიწის შასაჭმელსა!?

—ჰაი, ეგ რჯულ-ძაღლები, ეგეებიიი! იქნება მართლა?!. ვაჰმე რატომ არ ვიცოდი, ამ თავ-მოსაკვდავმა, მე ვიცი რასაც წავასხმევინებდი იმათა. შენ არ გინდა, ძალუაისავე, იმ ძაღლის ჯავრს მე ამოვიყრი,—ანუგეშა დარეჯანმა.

მართლაც, ერთის კვირის შემდეგ არუთინამ ჩამოიარა ორი ცხენით და ძახილით: „ფარჩა ივაჭრეთ!“ დარეჯანი „ღილაურს“ საქონელსა სწველდა. მალე თვალი შაასწრო არუთინას და ჩუმად წასძახა ძაღლებს, რომლებიც დარბაისლად ბაკის გვერდზე იწვნენ: „ა, წობანავ, ალაბეშავ, მაგას“.

ალაბეშა და წობანა სიაეით გათქმულები იყვნენ სოფელში. მსწრაფლად ძაღლებმა ყურები სცქვიტეს და ტყვიასავით შეუპოვრად დაეტაკნენ არუთინას, გააბუეს, გაპენტეს ბამბის ქულასავით და გადააგდეს პატარა ბექურზე. არუთინა გამწარებული ყვიროდა და ხრიალებდა. არუთინას ცხენებიც დაფრთხნენ, ერთმა მოიყრევინა ბოხჩები, მეორემ ერბოიანი გუდები. ყველა ეს დაგორდა ქვეით ხევში; ერბოს გუდა გასკდა და წყალივით ერბომ დაიწყო ჩადენა მიწაზე. «მიშველეთ, ქრისტიანებო არა ხართ!?» ჰყვიროდა არუთინა ზევიდამ. „არ დაირჩოს-კი, ე დამეხილი, და კაცის ცოდვაში არ ჩავდგე“, სთქვა დარეჯანმა და გაიქცა მისაშველებლად. გადადგა ბექურის პირზე, შეეცოდა არუთინა დარეჯანს, როდესაც იმისს პირზე სისხლი დაინახა და შეუტია ძაღლებს: «წამოთეო, წამოთეო, თქვე საძაღლებო!» ძაღლებმა მაშინვე თავი დაანებეს და გამოსწიეს შინათკენ. არუთინა გასაცოდავებული ადგა და კოჭლობით გამოიარა ცოტად.

—თქვე ოჯახ-დაქცეულებო, სთქვა არუთინამ,—რატომ არა აბამთ ძაღლებს, ხომ იცით მაგათი სიკაპასე! ახ, ჩემი ხანჯალი მქონოდა! ამ დროს შეასწრო თვალი დაღვრილს ერბოს, ტირილი მოუვიდა და უფრო უკადრისი სიტყვები უთხრა დარეჯანს.

—ოჯახ-დაქცეულიც იყავ და ძაღლიცა შენ რო მკვდარი იყო, ვისი რა ბრალია?! მთელი ქვეყანა ამაზე არ დადის, შე მიწის ჩამოშაშლელო,—აბა სხვას რომელს მისწვდენ ჩემი ძაღლები?! ნეტავი გავემარჯვა ი მამიჩემის სალოცავსა, დაგეკრა რაი ძაღლებისადა და მაშინაც ჰნახავდი შენს ყოფასა! დაგმეხოს მწარე სიკვდილმა აგრეა! დაჰკრავდი და მე რაღას ვაკეთებ აქა!? შუბს შიგ ცოფიანს ლაშჩი ჩაქცემდი!.. დარეჯანმა ხშირად იცოდა ესე დამუქრება. დარეჯანი მაშინვე გამობრუნდა და პირზე ღიმილი მოუვიდა. პირველად ეხლა შევნიშნე იმისს პირზე მხიარულება,—ალბად გული მოიფხანა ცოტად მაინც... არუთინა-კი საცოდავად ეფხოტებოდა ბექობზე, ჰფხეკდა და ასხავდა ისევ გუდაში მიწიანს ერბოს. ამ დროს წყალს ნემსკავით ბიჭი მოჰყვებოდა, იშველია იგი, აჰკიდა ბოღჩები და ხურჯინები და გასწია ლუღუნით თავ-პირ ჩამომტირალმა. დარეჯანმა ერთხელ აჰხედა კიდევ და „დაიმეხე აგრეაო!“ თან გააყოლა.

ვაჟა-ფშაველა.

(დასასრული შემდეგ)

ლის ქმარიც გემებისა და ხომალდების ამგები იყო და ცოლს სამკვიდროდ დაუტოვა 40 მილიონი. ეს ქალბატონი დიდი ქველ-მოქმედი ქალია და საკუთარი ეკკლესია აქვს კრებულითურთ. ხოლო შეძლებულთა ქალთ გარდა, რომელთაც ქონება ქმრისაგან დარჩენიათ სამკვიდროდ, როგორც, მაგალითებრ, ქ-ნები ასტორი, ო'რობერტსი, სტევენსი, სკოტტი, გეტი ტერრი და მრავალნი სხვანი, არიან ისეთებიც, რომელთაც თავიანთის შნოებითა და უნარით შეუძენიათ ქონება. ქ-ნს გრინს თითონვე შეუძენია 35 მილიონი ბირჟის სპეკულიაციებით. ქ-ნი დოუ თავჯ-მჯდომარეა ბოსტონის სარკინის-გზო კომისიისა. ქ-ნები მერედიტი, კარრენი და როჯერსი მილიონებს იძენენ პირუტყვისა და ოთხ-ფეხის საქონლის ვაჭრობით. ხოლო ამათში ყველაზედ საკვირველი-კი ქ-ნი ტომია ალიასნდელი. იგი ინდოელია, მეტად ულამაზო, 40 წელს გადაცილებულია, ორი ქმარი ჰყოლია და შემდეგ ქრისტეს სარწმუნოება მიუღია. ამ ქალს შეძლება ტყავებისა და ბეწვეულობის ვაჭრობით შეუძენია.

— გაზ. „France“ ამბობს: სენ-ჟერმენში უკვე ორი წელიწადია სცხოვრობს ერთი კაცი, რომელიც ისე ჰგავს ბულანჟეს, როგორც შუაზედ გაჭრილი ვაშლიო. ამ კაცსა ჰქვიან ბონვუაზენი და ცუდი სახელი აქვს გავარდნილი, რადგან ადგილობრივნი მკვიდრნი ჯაშუშობასა სწამებენო.

— ერთი გერმანელი გაზის წვენის მოყვარული თავისს ამხანაგებს ურჩევს შემდეგი საზომავი იხმარონ იმისს შესატყობად, თუ რამდენად არიან ნასვამნი. თუ შეიძლებთ ნასვამობის შემდეგ თავისუფლად წარმოსთქვათ Exterrítoríalítaet-ი, დარწმუნებულნი იყავით, რომ სასმელი სულ არ მოგკიდებიათ; თუ არ გაგიჭირდათ წარმოთქმა სიტყვისა Incompafíbílítaet-ი, იცოდეთ, რომ თქვენი ნასვამობა გარეშე თვალისათვის შეუმჩნეველია; ხოლო თუ სიტყვა Excentricitaet-ის თქმაზედ ენა გებმევათ, დინჯად იჯექით და ადგილიდგან ნუ დაიძვრებიო თავის შესარცხვენად და ან თუ ენა სიტყვა Eulalie-ს წარმოთქმასაც ვერ ახერხებს, იმის მეტი აღარა დაგრჩენიათ-რა, რომ მისდოთ თავი და დაიძინოთ.

— მადიარები მეტის-მეტის სიმულილით ეპყრობიან ამ წამად ეპისკოპოსს შტროსმაიერს იმის გამო, რომ მან რუსეთს ნათლის ღების 900-ის წლის დღესასწაული მიულოცა. რამდენისამე დღის შემდეგ, რა-კი ავსტრიის იმპერატორმა ორიოდე სიტყვა უთხრა ზემოხსენებულს ეპისკოპოსს და არ მოუწონა საქციელი, ქრისტინენშტადტის თეატრში ბუდაპეშტს ადგენდნენ „მათხოვარა სტუდენტს“ და არტისტმა, რომელიც ოლლენდორფის როლსა სთამაშობდა, ლექსი იმღერა, რომელშიაც მალიან გაჰკიცხა თურმე ეპისკოპოსი შტროსმაიერი. ასეთი საქციელი არტისტისა მალიან მოიწონეს თურმე მაყურებლებმა, ტაში დაუკრეს და ორჯელ გაამეორებინეს.

— ქალაქ ალფარსტში, ჩრდილოეთ-ამერიკის შტატს გეორგიაში, შემდეგი ახირებული ქორწინება მომხდარა. ალფარსტის მომრიგებელ-მოსამართლესთან მისულან საქმრო ალექსანდრე ჯონსი და საცოლო ელიტა სმიტი, ორნივე შეძლებულის ოჯახის შვილნი. ახალგაზდათა თან მისდევდა თურმე რამდენიმე ნათესავი და ნაცნობი. შევიდნენ თუ არა ახალგაზდანი სასამართლოს დარბაზში და ყმაწვილმა კაცმა დაინახა დიდ-ძალი თავ-მოყრილი ხალხი, გამოიყვანა თავისი მეჯვარე ლიუდრიჯი და უთხრა, რომ ამდენს ხალხში ქორწინება არ შემიძლიანო, შესჯდა ცხენზედ და განქრა. როცა ლიუდრიჯი დაბრუნდა, მივიდა ყმაწვილ ქალთან და უამბო საქმროს ასეთი საქციელი, ქალმა გულგრილად უპასუხა თურმე: «თქვენ ერთი იმათგანნი ხართ, რომელთაც აქ მომიყვანეს. თუ ჩემმა დანიშნულმა თავი დამანება, თქვენ ვალდებულნი ხართ იმისი ადგილი დაიჭიროთ». ლიუდრიჯი სიამოვნებით დათანხმებულა მშვენიერის ელიტას სიტყვაზედ და დაქორწინებულა. როცა ქორწინების წესი და რიგი გაუთავებიათ, ყმაწვილს ქალს თავისის ნამეჯვარალ ქმრისთვის უთქვამს: „იცოდეთ, ვერაფერი შემიშლის ხელს და ვერა შემაყენებს-რა, თუ მოვინდომე და მოვიწადინე რამე. მე აქ იმიტომ მოვედი, რომ გავთხოვილიყავი და, თუმცა ბედნიერი ვარ, რომ თქვენს ცოლობას ვღირსე, მაინც უნდა გითხრათ, რომ არ წავიდოდი აქედგან იმ დრომდე, ვიდრე ვისმეს არ დავითანხმებდი ჩემს ქმრობაზეო“.

— ის ნახევარ-კუნძული, რომელზედაც ეხლა ნიუ იორკია აშენებული, 1668 წელს ინდოელებმა ევროპელებს მიჰყიდეს და სასყიდლად აიღეს 10 პერანგი, 30 წყვილი წინდა, 10 ყარაბინი, 80 ტყვია, 30 გირვანქა თოფის წამალი, 30 ცული და 30 ქვაბი საჭმლის მოსახარშავად. იმ სანეტარო დროს ორივენი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სახეიროდ ვივაჭრეთო. რამდენი პერანგი, ცული, თოფის წამალი და სხვანი ღირება ეხლანდელი ნიუ-იორკი?

— არტისტები საზოგადოდ აურზაურიანი ხალხია, თვით-ნება, უსასიათო, ჭირვეული, თავისი ნათქვამი, უჯიათი და სხვანი და სხვანი მრავალნი ნაკლულევანებანი აქვს არტისტს, რომელთა რიცხვი არს ლეგიონ. აი ამის დამამტკიცებელ საბუთად, სხვათა შორის, მოვიყვანთ ერთს ამბავს, რომელიც მომხდარა ბუენოს-აირესში. ამ ქვეყანაში ტენორს ბერრეროს უსრულია დამბაჩა დირექტორისათვის ლოჟაში. ამ გარემოებას გამოუწვევია ერთი გაზეთი, რომელიც ამ არტისტისავე სხვა საქციელს იგონებს. ერთხელ იმისს ბენეფისში ოპერა ვერდისა წარმოუდგენიათ. გამოსულა თუ არა სცენაზედ ბერრერო, დაუწყებია მუსიკა, მიუმართავს საზოგადოებისათვის, რომ რადგან დირექტორი თეატრისა დღეს შემოსავლის წილს არ გამიზიარებს, ამიტომ მღერაზე უარს ვამბობო. მაშინვე ახლა მეორე მხრიდგან გამოვარდნილა დირექტორი და დაუწყია თავის მართლება; ამ დროს ლოჟიდგან გამოსულა ტენორის ცოლი, ასულა სცენაზედ, დაუწყია ლაპარაკი და ქმრის მართლება; სულ ბოლოს საზოგადოებასაც მიუღია ამ შინაურს საქმეში მონაწილეობა. დიდის ხნის ბაასისა და აყალმაყალის შემდეგ გადაუწყვეტიათ, რომ ტენორმა მაინცა და მაინც უნდა იმღეროსო. პირველში ბერრეროც დათანხმებულა, ხოლო დაუკრავს თუ არა მუსიკას, კვლავ უარი უთქვამს იმ მიზეზით, რომ თეატრის დირექტორი მცემსო. სანამ ამ დირექტორს არ წაუყვანია არტისტი თეატრის კასაში და არ უჩვენებია შემოსავალი, მანამდე უჯიათი არტისტი არ დათანხმებულა და არ უმღერია.

---

## პეტერბურგის ბირჟა, 13 სექტემბ.

| | მყიდველთა. | გამყიდველთა. | გაყიდულთა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 55 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 149 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 18 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | 256 | — „ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 233 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
სექტემბერი 30 დღით არის.

18 დღე კვირა. ღირსთა წამ. ბიძინასი და თავადთა ელიზბარისა და შალვასი, ქსნის ერისთავთა, რომელნიც მოკლულ იქმნენ შირაზში 1665 წ. კათოლ. სოფიოსი. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 5—57, ჩადის 5—43, მთვარე 25 დღისაა.

19 დღე ორშაბათი. წამ. თევდორესი. კათოლ. ეპ. იანუარისა. სომეხ. 1-ლი დღე წმ. ჯვარის ვარაკის მთაზედ გამოცხადებისა. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 5—58, ჩადის 5—41. მთვარე 26 დღისაა.

---

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | . 3½ | › |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . | . 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . | . 4 | „ |
| მე-3 — . . | . „ | „ |
| ძროხის ხორცი . . | . 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . | . 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . | . „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

---

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რა-კი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რა-კი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, № 101.

---

## განცხადებანი

### ტფილისის საბაღოსნო სკოლაში

საცა ხეხილის გასაშენებელი ბაღი იყო, მუშტაიდის გვერდზე,

ეტვირთულობთ მომზადებას

ფოთლებისა, ყვავილებისა და მწვანილისაგან დაწნულის ხვეულებისას, ანუ გირლიანდებისას ფანჯრებისა, კარებისა, კედლებისა და სხვათა მოსართავად. იქვე ისყიდება ყოველ გვარი მცენარე და ფოთლები სახლების მოსართავად. (10—7)

---

## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . . | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . . . | „ | 25 |

---

20 სექტემბრისას გაიმართება ჭრა-კერვის სკოლა, სადაც ასწავლიან ოქრომკედით ქარგვასა და სადადა და მძივით კერვას. სკოლაში მიიღებიან პატარა ქალები, რომლებმაც რუსული წერა-კითხვა იციან. ფასი სწავლებისა თთვეში სამი მანეთია. სკოლას შეიძლება შეუკვეთონ სხვა-და-სხვა ხელსაქმე.

ადრესი: მველი არსენალის ქუჩა, № 29. (2—1)

---

## რვეულები ქართულის წერისათვის,

გოგებაშვილის დედანთან სახმარებელი, დაიბეჭდა და გამოვიდა პირველი და მეორე ნომერი. მესამე ნომერიც მზადდება.

ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა, ხიდეკელისა და იზმიროვის მაღაზიებში და აგრეთვე „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში; ქუთაისში—ჭილაძეებთან

ფასი რვეულისა ერთი შაური.

ასპიდის ფიცრები ქართულის წერისათვის ისყიდება იზმიროვისა, გრიქუროვისა და ხიდეკელის მაღაზიებში და „წერა-კითხვის“ კანცელარიაში. (6—2)

---

## საკომერციო კურსები

### ქალებისა და ვაჟებისათვის.

წელიწადი მეშვიდე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებსა და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის ხელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1888—89 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო მცოდნეობა, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყობა 25 სექტემბრიდამ; ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს ტფილისს. (12—8)

Доз. ценз. Тифлисъ, 17-го Сентябрь 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე